ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 336

“21” ივლისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე №76-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.028.058) პირდაპირი განკარგვის წესით ია ჭრიკიშვილისთვის (პ/ნ. 01004000565) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე №76-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.028.058) პირდაპირი განკარგვის წესით ია ჭრიკიშვილისთვის (პ/ნ. 01004000565) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 4 ივლისის №23.983.1101 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე №76-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.028.058) პირდაპირი განკარგვის წესით ია ჭრიკიშვილისთვის (პ/ნ. 01004000565) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3600 (სამი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე